სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №2/24

ქ. თბილისი 04 აპრილი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ (შემდგომში _ „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის მაგდა ბოლოთაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ზენატურ+“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ზაზა გაიაშვილის სახით, ვმოქმედებთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“-ს მიერ სარეისო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: CPV 60410000).

2.2. შესყიდვის ობიექტია, კატარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაციის წარმომადგენლების ვიზიტის ფარგლებში, მიმწოდებელის მიერ სარეისო საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით, შემსყიდელის მოწვეული სტუმრების (მგზავრთა ჯამური რაოდენობა 10 (ათი): Mr.Abdullah Ali Al Abudllah; Mr.Ahmed F.G.Abu Nahia; Mr. Mohammed Ahmed Al Obaidly; Mr.Hamad Al Hajiri; Mr.Juma Mohamed Al Kuwari; Mr.Ahmed Ali Al Kuwari; Mr. Emad Turkman; Mr. Maqbool Habib Khalfau; Mr. Hasan Al Hakeem; Mr. Saif Yousef Al Kuwari) გადაყვანა თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება, შეადგენს 2728.00 (ორიათას შვიდან ოცდარვა) ლარს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ერთი პერსონისთვის შეადგენს 272.80 ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.4. დაფინანსების წყარო: საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“-სთვის გამოყოფილი ასიგნება.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2014 წლის 04 აპრილს.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი და ქ. ბათუმი.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1 მომსახურების გაწევასს ზედმიწევნით დაიცვას გასაწევი მომსახურებისათვის დადგენილი წესები და სტანდარტები;

5.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით;

5.1.4. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

5.2.2. აანაზღაუროს ხელშეკრულების ღირებულება მთლიანად, მიუხედავად აეროპორტში მგზავრთა გამოცხადებული რაოდენობისა.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია აწარმოებს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"-ს პორტფელის და პიარ მენეჯერები.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხელშეკრულების 5.3.2 ქვეპუნქტის მოთხოვნ(ებ)ის გათვალისწინებით, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2.ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეთა ურთერთშეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე **ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი–შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო"
მის.: ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ. N3-5,
საკონტაქტო: 2473696 (105)
საბანკო რეკვიზიტები:
ეროვნული ბანკი, ბ.კ. 220101222
ა/ა № 200122900
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 990 082

დირექტორის მოადგილე,

მაგდა ბოლოთაშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „ზენატურ+"
მის.: ქ. თბილისი, კ.აფხაზის ქ. #44
საკონტაქტო: 2439366
საბანკო რეკვიზიტები:
„ბაზის ბანკი",
ბ.კ CBASGE22
ა/ა № GE88BS0000000008336990
საიდენტიფიკაციო კოდი: 211385115

დირექტორი,

ზაზა გაიაშვილი